საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7466/01
16/07/2021

7466-01-2-202107161816

**შპს „გეო + ეკო სერვისს“**
**მის:** ქ. თბილისი, ნაკადულის I შეს. სახ. №6, ბ. №30

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოდგენილი თქვენი სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (108 997 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი)) ღია კარიერული წესით მოპოვებას და გაცნობებთ შემდეგს:

- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ნაკვეთის სტატუსის შეცვლის შესახებ ინფორმაცია. გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. ამასთან აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტის მიხედვით, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას;
- საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის, ამასთან ნაკვეთის სტატუსის (სასოფლო-სამეურნეო) გათვალისწინებით მნიშვნელოვანია წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე და მიმდებარედ არსებულ საძოვრებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ზოგიერთი სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და ამდენად არ არსებობს შემარბილებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, მათ შორის ფლორა-ფაუნაზე, ნიადაგზე და ბუნებრივ ლანდშაფტებზე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და სათანადო შეფასების წარმოდგენას. ვინაიდან, ღია კარიერული წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება პირდაპირ იქნება დაკავშირებული ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებასთან, ბუნებრივი ლანდშაფტის სახეცვლილებასთან, არსებული მცენარეული საფარის განადგურებასთან, ასევე წვრილი ძუძუმწოვრებისა და ქვეწარმავლების ცხოველქმედების ადგილების განადგურებასთან. მიუხედავად ზემოქმედების მასშტაბისა, სკოპინგის ანგარიშში ასახული უნდა იყოს ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს მოპოვებული ნედლეულის სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. მათ

შორის, ტრანსპორტირების მარშრუტების, დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების (მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა) შესახებ ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი გრუნტის წყლის დონე გამოვლენილია მხოლოდ 30 მეტრ სიღრმეზე. დაზუსტებას საჭიროებს რა სახის კვლევებზე, მონაცემებზე დაყრდნობით არის მოცემული ინფორმაცია გრუნტის წყლების დგომის დონის შესახებ;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე